1912—191

თეატრ

ბნევა: ის მიმართავს
ატეს და მოითხოვს
ლათ. რინალდა-
ონრადი მზათაა
ოდანა შაულობა,
ოლოს ჩა ...

ყოველ კვირეული სურათებიანი ალმანახი.

რედაქცია იმყოფება ქართულ თეატრში.

ორჯერ ზედიზედ

1912

ქართული
თეატრი

ა. ჩხეიძე.

ოთხშაბათი, 3 და კვირა 4 ნოემბერი

9536

რიშპენ

სიყვარული და სამშობლო

(სისხლის ფასათ)

ისტორიული დრამა 5 მოქმ. თარგმ. **მ. ქორელისა.**

მოქმედება სწარმოებს იტალიაში მე XV საუკუნის დასასრულში

ადგილების ფასი საბენეფისოა **დასაწყისი საღამოს 8 -საათზე.**

დირექცია ქუთ. ქართ. დრამატ. საზოგადოებისა. **რეჟისორი მ. ქორელი.**

მორიგი წევრი გამგეობისა **კ. კაჭახიძე** **ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე**

Академия наук СССР
Библиотека-Музей

[illegible]ბარმოდგენა.

[illegible]ამშობლო“ ისტორიული დრა-
[illegible]ქედებათ ყან რაშვილისა.

[illegible] დამოუკიდებელ სამეფო ქალაქს
[illegible]ბმანელებმა თავისუფლება მოსტა-
[illegible] განაგებს მკაცრი, სისხლის მსმელი
მოძალადე-ტირანი კონრადი, რომელსაც რა-
ვენის ხალხი მეტ სახელათ კონრად-მგელს
უწოდებს. კონრადს რავენას ტახტზე გვერდს
უმშვენებს წარმტაცი სილამაზით შემკული,
მეტად ჭკვიანი და მტკიცე ხასიათის ქალი,
რინალდა—გუშინ რავენას ტახტის კანონიერ
მემკვიდრის გვიდოს საცოლე, დღეს კი მისი
სამშობლოს სისხლის მწოველის, კონრადის სა-
ყვარელი. რავენელებს ერთნაირათ სძაგს მტა-
რვალი კონრად-მგელი და რინალდა; მათ არ
იციან, რომ რინალდამ თავი შესწირა სამშო-
ბლოს, სიკვდილისაგან იხსნა ტახტის მემკვი-
დრის უმცროსი ძმა, პატარა რიცო, რომლის
სახსნელათ კონრად-მგელის საყვარლობას და-
თანხმდა.

შემცდარია რავენას ხალხი აგრეთვე ტახ-
ტის მემკვიდრის, გვიდოს, ბედიღბალის შესა-
ხებ. ხალხსა და მასთან ერთად რინალდას და
კონრადსაც ჰგონიათ, რომ გვიდო მკვდარია.
ნამდვილათ კი გვიდო იმალება და ელის ჟამს,
როცა კონრად-მგლის მტარვალობა რავენელ-
თა მოთმინების ფიალას აავსებს და მათ ტირა-
ნის წინააღმდეგ აამხედრებს; ამ სანატრელ
დროს ელის გვიდოსთან ერთად ფანატიკოსი,
სამშობლოსათვის შეუდრეკელი მებრძოლი,
სტრადა. გვიდომა და სტრადამ არ იციან რი
ნალდას გადადგომის ნამდვილი მიზეზი და რა-
ვენას ხალხთან ერთად მას სამშობლოს გამყი-
დველათ სთვლიან.

დაუღალავი მქადაგებელი სტრადა რა-
ვენელთა შორის რამოდენიმე კაცს არ-
ჩევს, ყველაზე უფრო საიმედო პატრიო-
ტებს, და კანონიერ მემკვიდრის სახელით
აჯანყების მონაწილეებათ მოუწოდებს. უპირ-
ველეს ყოვლისა სტრადა გზავნის რინილდა-
სთან ერთ-ერთ შეთქმულის, გალეასის ახალ-
გაზ ა ქალს, ბიანკას, რომელსაც ის თა-
ვის მამის სახლში მოჰყავს. ამ გზით
მოტყუებულ რინალდას სტრადა უცხადებს
გალეასის სახლში სასიკვდილო განაჩენს და
წინადადებას აძლევს, სიკვდილის წინ აღია-
როს ცოდვები იქვე მდგომ პირბადიან მღვ-
დლის წინაშე. აღსარების დროს მღვდელი
იხდის პირბადეს და რინალდა ჰხედავს თავის
წინაშე მღვდლის ადგილას თავის საქმროს,
გვიდოს. აღელვებული რინალდა მოუთხრობს
გვიდოსა და სტრადას თავის გადადგომის
ნამდვილ ამბავს და არწმუნებს მათ, რომ
მას ძველებურათ უყვარს სამშობლო და თა-
ვისი საქმრო. გვიდო და რინალდა ბედნიერე-
ბას განიცდიან; ისინი მზათ არიან სრულიად
მიეცენ. ძველ სიყვარულს. ნაგრამ თავდავი-
წყებული პატრიოტის სტრადას წინადადებით
რინალდა უბრუნდება კონრადს, რათა სასა-
ხლიდან შეუწყოს ხელი სამშობლოს განთა-
ვისუფლების საქმეს.

რინალდასადმი სიყვარულით გატაცებუ-
ლი გვიდო ცდილობს იმ ღამესვე მოახდინოს
აჯანყება; გამჭრიახი სტრადა ხედა-
ვს, რომ გვიდოს აჩქარებით შეიძლება
აჯანყების საქმე დმიღუპოს, ფარულათ
შედის სასახლეში, ნახულობს რინალდას
და სთხოვს მას ხელი ააღებინოს გვი-
დოს უგუნურ გადაწყვეტილებაზე. სტრა-
დასთვის ეს საკმარისი არ არის. ის
გრძნობს, რომ აჯაყების გამარჯვებით დასრუ-
ლება საკმარისი არ არის; ხალხისაგან აწუ-
ნებული რინალდას გვიდოსთან შეკავშირება
ჩირქს მოსცხებს რავენის ტახტს. რავენის კე-
თილდღეობისათვის აუცილებელია, რომ რი-
ნალდა გვიდოს დასცილდეს და მომავალმა
მეფემ თვით ხალხის შვილი შეიუღლოს, რომ
ამით დაუკავშიროს ტახტს მთელი რავენა.
ამ მხრით შესაფერ საცოლოთ გვიდოსათვის
სტრადას მიაჩნია ბიანკა, რავენელ მოქალა-
ქის, გალეასის ქალი, რომელსაც გაგიჟებით
უყვარს გვიდო. და აი სტრადა აუხსნის რინა-
ლდას მსხვერპლის საჭიროებას. რინალდა
სდგას საშინელი არჩევანის წინაშე: სიყვარუ-

ს. მგალობლიშვილი.

ლი თუ სამშობლო? მასში დედაკაცი და მოქალაქე ერთმანეთს ებრძვიან. მამულიშვილი დასძლევს დედაკაცს და რინალდა აღუთქვამს სტრადას ამ მსხვერპლის შეწირვას. დამშვიდებული სტრადა მიდის სასახლიდან აჯანყების მოსაგვარებლათ.

იმავ ღამეს ბიანკა ფარულათ შემოიყვანს გვიდოს რინალდასთან, ის არის რინალდამ უნდა აუხსნას გვიდოს თავისი გადაწყვეტილება, როდესაც მისი ოთახის კარებს უეცრათ კონრადის კარის კაცი და მარჯვენა ხელი, რასპონი მოადგება. რასპონის განუზრახავს კონრადის მოკვლა და მისი ალაგის დაჭერა. რინალდა მასაც გაგიჟებით უყვარს და წინადადებას აძლევს, ოღლათ გამომყევი კონრადის მოკვლის შემდეგო, აღშფოთებული რინალდა მოიხმობს მეორე ოთახში მიმალულ გვიდოს და რასპონის მოაკლევინებს. მაგრამ უკანასკნელმა მოასწრო ფანჯარაში ნიშნის მიცემა და გვიდოც და რინალდაც უნდა დაიღუპონ კონრადის ხელთაგან. რინალდა მაინც არ ჰკარგავს იმედს ის შეიყვანს გვიდოს სამლოცველო ოთახში, ჩაკეტავს კარებს და გასალებს ინახავს. გააფთრებული კონრადი, რომელსაც შეუტყვია რინალდას ღალატი, შემოვარდება და შეთქმულების გაცემას მოსთხოვს მას. რინალდა მთელ თავის მჭერმეტყველებას იკრებს და სცდილობს დაარწმუნოს კონრადი, რომ მისი ღალატი რასპონის მიერ გამოგონილი ცილიმწამებაა. ამ დროს ჯარის კაცები შემოიყვანენ ბიანკას, რომელმაც გვიდო მოიყვანა და გაქცევა ვერ მოასწრო რინალდა არ იბნევა: ის მიმართავს ბიანკას, როგორც მოღალატეს და მოითხოვს მის ცხენში გაგზავნას საწამებლათ. რინალდასადმი სიყვარულით მთვრალი კონრადი მზათაა იწამოს თავისი საყვარელის უდანაშაულობა, მაგრამ მის ეჭვს აღვივებს იმ ოთახის ჩაკეტილი კარები, საცა რინალდამ გვიდო შეიყვანა. რინალდა კი, ვითომდა კონრადის იჭვიანობით შეურაცყოფილი, უარს ამბობს ოთახის გაღებაზე და უფიცავს კონრადს, რომ, თუ ის კარებს ჩაამტვრევინებს, მათ შორის ყოველივე კავშირი გაწყდება. საშინელი ეჭვით შეპყრობილი კონრადი მთელ ღამეს ჩაკეტილ ოთახის კარებთან ათენებს.

დილას სასახლეს აჯანყებული რაზენელები მოადგებიან სტრადას მეთაურობით. კონრადის ერთ ჯარისკაცთაგანს უცნობებია შეთქმულთათვის, რომ რინალ ამ ბიანკა შეაპყოობინა და საწამებლათ გააგზავნინა. სტრადა, დარწმუნებული რინალდას მოღალატეობაში, აჯანყებას აჩქარებს და სასახლეს მიაშურებს გვიდოს დასახსნელათ. მათ შემოსევას კონრადი ყოყმანიდან გამოჰყავს; ის ხედავს, რომ რინალდამ ულალატა. იარაღით ხელში კონრადი მოუწოდებს თავის ჯარს და მიაშურებს აჯანყებულთ. აჯანყება კონრადის დამარცხებით თავდება. გამარჯვებულ სტრადას გადაწყვეტილი აქვს რინალდა მოკვლას; რინალდას შეუძლია აუხსნას მას ყოველივე და თავის თავი გადაირჩინოს, მაგრამ რალათ უნდა სიცოცხლე! ხომ ეხლავ უარი უნდა სთქვას თავის პირად ბედნიერებაზე და საყვარელ კაცს სხვა ქალი უნდა შერთოს. რინალდა განზრახ ეძახის კონრადს, თითქოს მისგან ხსნას ელოდეს. სტრადა მას სასიკვდილოთ დასჭრის. ეხლა კი სიკვდილის წინ სამშობლოსათვის წამებული რინალდა ყველაფერს აუხსნის სტრადას და სხვა აჯანყებულთ, სასოწარკვეთილ გვიდოს კი უანდერძებს ბიანკასთან შეუღლებას და სამუდამოთ მიეშურება იქ, საცა არც ტანჯვასა და არც ლხენას ადგილი არა აქვს.?

ჟან რიშპენის მოკლე ბიოგრაფია

(მისი ცნობილი ისტორიული დრამის „სიყვარული და სამშობლო“ს ქუთაისის ქართულ სცენაზე დადგმის გამო).

ჟან რიშპენ (Jean Richepin)—საფრანგეთის გამოჩენილი და სათაყვანო მგოსანია. იგი დაიბადა 1849 წელს. სწავლის დასრულების შემდეგ სამხედრო სამსახურში იყო და რამოდენიმე ომში მონაწილეობდა. თავისუფალი ცხოვრების მოყვარული და ბუნების მოტრფიალე ყმაწვილი ქალაქის შეზღუდულსა და შემავიწროებულ ცხოვრებას ვერ შეთვისებოდა და ერთ დროს წყნარ ცხოვრებას ტყე ველად ხეტიალი არჩია. ის დაუახლოვდა საფრანგეთის ბოშებს და რამოდენიმე ხანი მათთან გაატარა. მათი თავისუფალი ცხოვრება, დამოუკიდებელი აზროვნება, ბუნებასთან და სიმშვენიერესთან სიახლოვე ხიბლავდა რიშპენს და თან მდიდარ მასალას აძლევდა ლექსებისა, რომანებისა და დრამებისათვის. შემდეგ იგი ცირკის მხედართა და ჯამბაზთა გუნდში ცხოვრობდა და მათთან ერთად საფრანგეთის ერთი კუთხიდან მეორეში დადადიოდა. ერთ დროს მხახიობათაც იყო და ყოველგვარ როლებს კისრულობდა. ინგლისში ყოფნის დროს თავის ნებით უბრალო ჯარის კაცად გახდა.

ერთი სიტყვით, რიშპენს უყვარდა მრავალფეროვანი, თავისუფალი, დამოუკიდებელი და სხვადასხვა საინტერესო თავგადასავალით აღსავსე ცხოვრება. ყოველმა განათლებულმა ფრანგმა კარგათ იცის მრავალი ანეკდოტები და თითქმის ლეგენდები მისი ცხოვრებიდან.

ჟან რიშპენი რომანტიკოსია, ვ. ჰიუგოს სკოლას ეკუთვნის. ის სულით მეამბოხეა და თავისუფლების მოტრფიალე. რიშპენის დახასიათებისათვის საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ის თავის ნაწარმოებში კულტურისა და ცივილიზაციის მტერია, რადგანაც მისი აზრით ეს ცივილიზაცია ადამიანის „მე“ს, მის ბუნებით თავისუფალ სულსა ზღუდავს და ამახინჯებს. მისი იდეალია თავისუფალი გრძნობა, თავისუფალი სული, აზროვნება და მოქმედება.

გარდა ლექსებისა და რომანებისა რიშპენს აუარებელი დრამები აქვს. ვერ ნახავთ ცოტად თუ ბევრად შეგხებულ ფრანგს, რომელსაც სცენაზე რიშპენის დრამა არ ენახოს და აღტაცებული არ იყოს მითი. მისი დრამების თვისებაა: სცენის ტეხნიკის ზედმიწევნით ცოდნა, საინტერესო სიუჟეტი, ხელოვნურად მოწყობილი ეფექტები და შესანიშნავის სიძლიერით დახასიათებული გმირები.

რამდენადაც ვიცით, რიშპენის ნაწარმოები ქუთაისის საზოგადოებას ჯერ არ უნახავს ქართულსაც ენაზე...

სიყვარული და სამშობლო

ხიესა, რომელსაც ქუთაისის საზოგადობა შაბათსა და კვირას ნახავს სცენაზე ეხება ძველსა, მაგრამ თან მუდამ ახალს, მუდამ თანამედროვე თემას. „სამშობლო“ თუ „სიყვარული“? ხირადი ბედნიერება თუ საზოგადო კეთილდღეობა?

ცხოვრებაში ადამიანს ოფველ ნაბიჯზე უდგას წინააღმდეგობა; „ცხოვრების ჭარმონია“ მოქსოვილია უთვალავ წინააღმდეგობათაგან. კონიერ შეგნებულ საზოგადოების წევრს ძლიერ ხშირათ ხვდება წილათ აირჩიოს ორთა შუა: ხირადვნება თუ საზოგადოებრივი ერთეული? ეს წინააღმდეგობა იმდენათვე ძველია, რამდენათაც ადამიანის არსებობა; ის თავს იჩენს ოფველგვარ საზოგადოებაში, ოფველ ერში, ოფველ დროს. განსაკუთრებული როლი ითამაშა ამ წინააღმდეგობამ, ჩვენი საქართველოს ისტორიაში, რადგან ჩვენ საუკუნოების განმავლობაში გვიხდებოდა შეუსვენებლივ ბრძოლა ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისთვის და განდდესაც, ოფველივე შეგნებულ ქართველს არ უხდება ამ კითხვაზე დაფიქრება? სულ ერთია, შეითხვევლო, რა საზოგადოებრივ ერთ ულსაც არ ემსახურები შენ. არის ეს ერთი ჯგუფი საზოგადოებისა, თუ ეროვნული ერთეული, თუ გინდ ოჯახიც, შენ არა ერთხელ შეგმთხვევია და შეგემთხვევა დაუხირდებირო ერთმანეთს შენი ხირადი „მე“ და საზოგადოებრივი იდეალი. საუბედურო ცხოვრება ჯერ-ჯერობით შაინც ისეა მოწყობილია, რომ ამ

ორის: მე-ს და საზოგადოების შერიგება ძნელია, შეუძლებელია, ,ოდეველივე ჩვენგანი ამ ორთაგან ერთის ინტერესებს სწირავს მეორეს.

შემოქმედის დანიშნულებაა ცხოვრების მოვლენა, რომელიც მას აინტერესებს, დაგვიხატოს ისეთ პირობებში, რომ მკითხველისა ან მსმენელის წინ ის წასდგეს მთელი თავისი სიძლიერით, ტიპიური თვისებებით. რიშენმა ეს დანიშნულება მშვენივრათ შეასრულა: მას ძლიერ შესაფერი პირობები აქვს აღებული; ელემენტები, რომელიც ერთმანეთს უპირდაპირდებიან და გრძნობათა წინააღმდეგობის დრამას ქმნიან, არა ნაკლებ მოხდენილათ აურჩევია პოეტ-დრამატურგს: სიყვარული სქესობრივი და სიყვარული სამშობლოსადმი. ეს ორი ელემენტი, ასე ვთქვათ,—განაწილებულია ტიპიურ მოქმედ პირთ;--ერთი მხრით რინალდა და სტრადასა და მეორე მხრით გვიდოს--შორის. მთელი პიესა ერთად კი წარმოადგენს ძლიერ ბრძოლას გრძნობათა შორის, დრმა დრამას პირადულ და სოციალურ გრძნობათა ბრძოლისას.

იმედია, ქუთაისის საზოგადოებას დაინტერესებს მისთვის ეგოდენ თანამედროვე და გამწყვეტელი კითხვა.

თეატრის ხრონიკა.

— ხუთშაბათს, 1 ნოემბერს სამხატვრო იუმორისტიული საღამო არ შესდგა მსახიობ ვასო არაბიძის ავადმყოფობის გამო.

— „ილიას საღამომ“ ჩვენ თეატრში დიდ ძალი საზოგადოება მოიზიდა. შემოსავალი 400 მან. აღემატა.

— ზესტ ფონში „ილიას საღამო“ სხვა დროსთვის დადაიდო.

— კვირას, 4 ნოემბერს დ. ლანჩხუთში შესდგება ლიტერატურული გასამართლება ეგ. ნინოშვილის მოთხრობის გმირის „მოსე მწერლისა“

— მსახიობს დ. ჩარკვიანს, დრ. საზ. გამგეობამ ნება დართო გადავიდეს ჭიათურის თეატრში.

— ადგილობრივმა მთავრობამ მოწაფეებს გარდა შაბათ კვირისა პროჟექტორებში სიარული აუკრძალა.

— დრამატიული საზოგადოების გამგეობას განზრახვა აქვს გამართოს საღამო თავის ფონდის გასაძლიერებლათ.

— მსახიობი ქალი ნ. ჩხეიძის ასული მიწვეულია თფილისში ორ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებათ.

— როგორც თფილისიდან გვწერენ, სწავლა დრამატიულ კურსებზე უკვე დაიწყო, მსმენელთა რიცხვი ორმოცდა ათამდეა. სამოსწავლო დარბაზი ქართულ თეატრის შენობაშია.

— როგორც ბათომიდან გვწერენ, ადგილობრივი საზოგადოება ძლიერ დაინტერესდა ქართულ დასით და დიდის ხალისით ესწრება წარმოდგენებს, ორს უკანასკნელ წარმოდგენაზე თეატრი სავსე იყო.

— ჭიათურაში სახალხო სახლის აგებას შეუდგება შავი ქვის საბჭო, როდესაც ნივთიერი მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდება. საამისო ხარჯი უკვე დამტკიცებულია შავი ქვის მრეწველთა კრების მიერ.

სიმართლე.

შარჟი 1 მოქმ. თარმანი მ, ჭორელისა

(გაგრძელება)

2 ანდრია, ბაბალე.

ბაბალე ეს ვინ არის? ანდრია? აა, გამარჯვება, ჩემო ძვირფასო, გამარჯვება.

ანდრია. გამარჯვებ-, ქალბატონო ბაბალე.

ბაბალე. სხვა? როდის ჩამოხვედი? რისთვის? ყველაფერი დაწვრილებით მიამბე... აქ რას აკეთებ მარტოდ მარტო? ეს ბაგრი... კალოშებიც კი...

ანდრია. საქმე იმაშია, რომ აქაურ გიმნაზიაში ვარ დანიშნული მათემატიკის მასწავლებლად.

ბაბალე. ძალიან კეთილი... ნინუცაც ეხლავე მოვა. სავაჭროთ ,ვიყავით... ტყუილად დროდავკარგეთ, საშინლად მოვიქანცეთ, არა-

ფერი არ გვიყიდია კი. ნინუცა ერთი წუთით მკერავ ქალთან წავიდა და ეხლავე მოვა. აბა მიამბე.

ანდრია. სადგურიდან პირდაპირ აქ მოვედი. სანამ ოთახს არ ვიშოვი ბიძიასთან ვიქნები ერთი ორი კვირა. თქვენ რომ არა სულაც დავრჩებოდი მასთან.

ბაბალე. რას ლაპარაკობ? მე რა შუაში ვარ?

ანდრია. საქმე რაშია—ბიძიამ მითხრა, რომ თქვენს წორედის ოთახი დაიჭირეთ, სადაც მე ადვილად მომათავსებდა. ის ლაპარაკობს, რომ თქვენ მას თავი მოაბეზრეთ და არ იქნა — ვერ ელირსა თქვენს წასვლას.

ბაბალე. რაო?

ანდრია. სიამოვნებით ამოვკრავდი პანღურსო და ცხრა მთას იქით გადავაგდებდიო, მაგრამ მაგარი ის არის, რომ თქვენ ძალიან მდიდარი ხართ. ბიძია და ბიცოლა კი ერთად ერთი თქვენი მემკვიდრენი არიან.

ბაბალე. აა, მაშ ეგრე? მადლობას მოგახსენებთ, სასიამოვნო ხომ არ უთქვამს ჩემს ძვირფას სიძეს?

ანდრია. არა მგონი, არაფერი არ უთქვამს მხოლოდ ეშმაკის ფეხი და ჯოჯოხეთის მაშხალა გიწოდათ... ჰო, მართლა, ღმერთმა არც საქაოს, არც საიქაოს მოსვენება არ მისცესო.

ბაბალე. ძალიან, ძალიან სასიამოვნოა!.. მაშ ეგრე? მე გამაგდონ? მე პაღურიც ამომკრან?! მაშ კარგი, ჩემო ძვირფასო სიძევ!.. ახლავე მივდივარ, ამ წუთშივე! ფეხს აღარ შემოვდგამ ამ სახლში! დამაცალეთ, ძვირფასო ვლადიმერ პეტრეს ძევ, გაგახსენებთ ამას!

ანდრია. თქვენ, მგონია, აღელდით?

ბაბალე. ავღელდები, აბა რა იქნება?! მიკვირს დამბლად როგორ არ დავეცი!.. ესე მიხდის მადლობას ჩემი სიკეთისთვის?! აი, ის არამზადა! გარყვნილი!

ანდრია. ტყუილად ღელავთ, ბატონო ბაბალე! არაფერი არ შეცვლილა! თქვენ ეხლა სიმართლე გაიგეთ და უნდა გიხაროდეთ! მე ერთი დიდებული პრინციპი მაქვს, რომელსაც სიმართლე ეწოდება!

ბაბალე. თავი დამანებეთ! თქვენი იდეების და პრინციპების თავი არა მაქვს! აი რას გეტყვით, ჩემო ძვირფასო სიმართლის მოყვარეებელო: მე ჩემს სიძე-ბატონთან შეხვედრა აღარ მსურს; მაშ თქვენ გადაეცით შემდეგი: მე ბებერმა სჯოჯოხეთის მაშხალამ და ეშმაკის კერძმა, მხოლოდ ჩემი უბედური ქალის სიჭრელულით, ჩემი სიძე ბატონის სხვადასხვა თავგადასავალს ხელს ვაფარებდი... მე ყველაფერი კარგად ვიცი... ვიცი, რომ საშინკა ყავს საყვარლად, ისიც ვიცი, რომ კარტში ფულებს აგებს, ქეიფობს, მაგრამ გაჩუმებული ვიყავი, რადგან ნინუცა მებრალებოდა; ფულებსაც კი ვაძლევდი. ყველაფერს ჩავდიოდი, რომ მაგათი კერა, მაგათი ოჯახური ბედნიერება არ დამსხვრეულიყო. ეხლა კი ყველაფერი გათავდა!.. ამ წამსვე მივდივარ აქედან. ბარგის წამოსაღებად კაცს გამოვგზავნი. საუკეთესო სასტუმროში, „გრანდოტელში“ დავდგები; ნინუცასაც ჩემთან დავაყენებ. დიაღ გრანდოტელში, რომ მთელმა ქალაქმა გაიგოს მისი ამბავი. ისეთ დღეს დავაყენებ, ისეთ ამბავს აუტეხ, რომ მთელი მისი სიცოცხლე არ დაავიწყდეს, სამარეშიაც კი... სიდედრი ვარ? მაშ ნამდვილი სიდედრი ვიქნები. ნახე ის არამზადა, ისა!.. მშვიდობით სიმართლის მოყვარებელო! ეშმაკმა შენცა და შენი სიმართლეც ჩაყლაპოს! შეგიძლიათ თქვენს ძვირფას ბიძიასთან დარჩეთ, მთელი ბინა თქვენ ხელშია. ჩემ ოთახში ეხლავე შეგიძლიათ გადახვიდეთ! არავინ არ დაგიშლით.

ანდრია. მართლა ამბობთ?

ბაბალე. ხუმრობის თავი არა მაქვს!

ანდრია. ტყვილად იქცევით ეგრე, ბატონო ბაბალე! უამბეთ ყველაფერი ბიძიას და ნახავთ, როგორ კეთილად დაბოლავდება ყველაფერი.

ბაბალე. თქვენი რჩევა თქვენთვის შეინახეთ, პანღური, ა? ჩემ წასვლას ვერ ელირსა... ჯოჯოხეთის მაშხალა!.. მაცალე მე შენ! მშვიდობით.

ანდრია. მაშ თქვენს ოჯახში მოვეწყობი.

ბაბალე. რამდენიც გენებოთ! გაჩვენოთ ჩემი ოთახი? ინებეთ! აგერ არის—შებძანდით! შავი ჭირი კი დაგერიათ ყველას! (გადის).

3. ლადო და გოგია.

ლადო. (შემოდის, მას მოსდევს გოგია) ერთი მითხარი, შე ღმერთ გამწყრალო!—რა უნდა გიყო? წამ და უწუმ გოგოებთან დარბიხარ... მთელი დღე სახლში არა ხარ, კაცს რომ დასჭირდე, ძაღლებითაც ვერ გიპოვის. არა, ერთი შენს ცხვირს დახედე, შენს კბილებს, არშიყობა რა შენი საქმეა, შე ვირო?

გოგია. კბილებს რომ მისინჯავ, ცხენი კი არა ვარ.

ლადო. გასწი ეხლავე. ძველი ტახტი შეიტანე ჩემს კაბინეტში, ჩქარა! (გოგია გადის).

ანდრია, ტყვილა სწუხდები, ბიძია, საქმე იმაშია, რომ ეხლა ქ. . ბაბალეს ოთახში დავბინავდები; მან დამაბარა შენთვის მეთქვა, რომ ფეხს აღარ შემოდგამს შენს სახლში.

ლადო. რას ბრძანავ? რაშია საქმე?

ანდრია, ბიძა შენს გადაეცი, რომ ის არამზადა, ოხერი და გარყვნილი კაციაო. დიდი ხანია შენი ოინები ვიცი, ისიც ეცის რომ ქეიფობ, ისიც რომ საშინკა შენი საყვარელია, ისიც...

ლადო. მაცა, სული მომათქმევინე ხომ არ ბოდავ?

ანდრია. არა, არ ვბედავ .. მე ჩვეულებისამებრ მხოლოდ სიმართლეს ვლაპარაკობ. თქვენი სიდედრი ამ სახლიდან წავიდა და აღარ დაბრუნდება. ბიცოლა ნინუცაც თან მიყავს და სასტუმროში დადგება შენ კი ისეთ ამბავს აგიტეხს, რომ მთელი შენი სიცოცხლე არ დაგავიწყდეს.

ლადო. მოიცა, ეს რაღაც საშინელი სიზმარია... რა მოხდა? საიდან სადაო? რო ღამკლა არაფერი არ მესმის.

ანდრია. ბიძია, აი საქმე რაშია: მე მგონია ბაბალე იმიტომ გამიჯავრდა, რომ მე მას სიმართლე უთხარი.

ლადო. რა სიმართლე? თქვი... ნუ მტანჯავ.

ანდრია. საიმისო არაფერი. წელანდელი შენი ნალაპარაკევი გადავეცი.

ლადო. ვაი შენ, ჩემო თავო! ბიჭო ხომ არ გაგიჟდი? რა უთხარი?!

ანდრია. ყველაფერი, რაც შენ მითხარი წელან: რომ მის წასვლას ვერ ეღირსე, რომ ჯოჯოხეთის მაშხალაა და ეშმაკის კერძი, რომ არის, დიდიხანია პანლურს ამოკრავდი, მისი მემკვიდრე რომ არ იყო.

ლადო. ვაი, ვაი! ვინახართ ქრისტიანი, მიშველეთ! დამკლა! უდანოთ დამკლა! რა ჩაიდინე, შე არამზადა, შენა!.

ანდრია. სიმართლე უთხარი, მეტი არაფერი.

ლადო. იცი კი, შე მაწანწალავ, შე ავაზაკო, რომ შენი სიმართლე ფასათ დამიჯდება? ორასი ათასი მანეთი მიღირს შე უტვინო, შენა! გამალატაკე, შენი სიმართლით შე ვირო შენა!

ანდრია. ესე მწარედ რას ილანძღები. ბიძია! სიმართლის მეტი ხომ არაფერი მითქვამს

ლადო. გაჩუმდი! ხმა, კრინტი! გაჩუმდი თორემ ღმერთს გეფიცები, დაგამახინჯებ! ღმერთო ჩემო! რა ვქნაა?... სად არის მითხარი, სად წავიდა?

ანდრია. „გრანდოტელში“ გადავდივარო, თქვა.

ლადო. გავიქცევი, გავიქცევი, მოვნახავ, მუხლ მოდრეკილი მოვითხოვ შენდობას, აჰ ეშმაკმაც კი წაგიღოს! რა ღვთის რისხკამ მოგიყვანა აქ ჩემდა საუბედუროდ? მაცალე მე შენ! გაგისწორდები შე საკიმპირე, შენა! (გარბის).

(შემდეგი იქნება)

ფ 391 ა
1912

ქ. ქუთაისში ფირმა. არსებ. 1865 წ

ჭურჭლების, სანათების და ავეჯის მაღაზია

იოსებ სტეფანეს-ძე

მამაჯანოვისა

მიღებულია დიდძალი: ვენური მარხილი, სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ფარფორის და ფაიანსის ჭურჭლეულობა, რუსეთსა და საზღვარ-გარეთიდან მოტანილი სანათები, ემალ გამოვლებული, თეთრი ალიუმინის, ნიკელის და სპილენძის ქვაბები, სამოვრები, ნავთის სამზარეულოები, საუკეთესო ქარხნიდან მოტანილი ლოგინები, სარკეები, მარმარილოს პირისაბანები, სასუფრე კლიონკები და სხვადასხვა ყოველგვარი საოჯახო ნივთები

ფასები ჩვეულებრივზე დაკლებულია.

ეჩრნალ-გაზეთების კონტორ

„იმერეთი“

ქუთაისში

ამით აცხადებს ქართველ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ იგი შეუდგა გამოცემას ბ. იაკობ მანსვეტაშვილის საფასით მგოსან

აკაკის

ნაწერების — მე-II-ე წიგნისას:

ძველი და ახალი ლექსები და პოემები ავტორისავე დროის შესაფერ განმარტებით. სხვათა შორის ამ წიგნში დაისტამბება აკაკის ახალი

ისტორიული პოემა

„ვორონცოვი და მისი დრო“

სურათით.

ფასი ხელის მოწერით 50 კაპ., გამოცემის შემდეგ კი ეღირება 75 კაპ.

წიგნის დაკვეთა შეიძლება თვით გამოცემის ხელმძღვანელთან: 1. ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“. სხვა ქალაქებში აგენტები გამოცხადებულია: „თემში“, „იმერეთში“ და „სახ. გაზეთში“.

ელექ. მბეჭ. ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში. გამომცემელი ალ. იმედაშკილი